შპს „მერიდიანი-44“

ს/კ 209472122

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

სარჩევი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ----------2

2. ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

   - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----------3
   - შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება ----------4
   - კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება----------5
   - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ----------6

3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები----------7

შპს „მერიდიანი-44“
ს/ნ 209472122
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე. ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასახავს შპს „მერიდიანი-44“-ის ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
2. ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც, უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
3. ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე;
4. ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
5. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
6. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;
7. კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
8. თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 22 სექტემბრს.

შპს „მერიდიანი-44“-ის
დირექტორი:
2023 წ. 23 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ბიძინა შეროზია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „მერიდიანი-44“

ს/კ 209472122

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	719155	1906642
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1417618	584036
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0
მარაგები	1000299	700800
მზა პროდუქცია	10310	10310
სხვა	989989	690490
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1883	5729
ძირითადი საშუალებები	490168	526066
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	450000	450000
სულ აქტივები	4079123	4173273
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	5189
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	840
საგადასახადო ვალდებულებები	0	57370
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	0	63399
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	12600	12600
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1443387	1474138
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	2623136	2623136
სულ საკუთარი კაპიტალი	4079123	4109874
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4079123	4173273
სულ მოკლევადიანი აქტივები	3137072	3191478
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	63399

დირექტორი

ბუღალტერი

შემოსავლისა და მოგება-ზარალის აგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „მერიდიანი-44“

ს/კ 209472122

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	2500945	3159563
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	2500945	3159563
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1288310	-1552280
საერთო მოგება	1212635	1607283
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-692932	-641777
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-45624	-53420
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-130661	-124452
სულ საოპერაციო ხარჯები	-869217	-819649
საოპერაციო მოგება	343418	787634
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-163643	-71600
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	179775	716034
მოგების გადასახადის ხარჯი	-31579	-105883
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	148196	610151

დირექტორი

ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „მერიდიანი-44“

ს/კ 209472122

	31.12.2021	31.12.2022
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4,099,723	4109874
საანგარიშო პერიოდის მოგება / ზარალი	610,151	148196
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(600,000)	(178947)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4,109,874	4079123

დირექტორი

ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „მერიდიანი-44“

ს/კ 209472122

	2021	2022
ფული პერიოდის დასაწყისში	**980066**	1906642
შემოსავლები:		
დებიტორებისგან მიღებული თანხები	3963823	2417797
სულ შემოსული თანხები	**3963823**	**2417797**
გასავალი :		
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	-1127288	-2194203
სახელფასო ხარჯები	-513422	-692932
საპენსიო ფონდი	-3093	-3260
გადახდილი გადასახადები	-621961	-265269
გადახდილი დივიდენდები	-570000	-178947
კომუნალური ხარჯები	-32376	-31728
ობიექტის დაცვის მომსახურება	-57600	-62400
დაზღვევა	-600	-600
ბანკის %	-2386	-3956
სხვა ხარჯები	-14534	-2461
სულ გაცემული თანხები	-2943260	-3435756
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	2000629	888683
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-22387	-5885
არამატერიალური აქტივების შეძენა		
კაპიტალური ხარჯები	0	
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	0	
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	-22387	-5885
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
ვალუტის კურსის გავლენა ფულად სახსრებზე	-71600	-163643
საკუთარი კაპიტალის ზრდა	0	
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	-71600	-163643
ფული პერიოდის ბოლოს	**1906642**	719155

დირექტორი ბიძინა შეროზია

ბუღალტერი იამზე კალანდაძე

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „მერიდიანი-44“ (შემდგომში საწარმო) საიდენტიფიკაციო ნომრით 209472122 არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: ქ. თბილისი, ქიზიყის ქუჩა # 32. კომპანია იურიდიულ პირად დარეგისტრირდა 1998 წლის 26 ოქტომბერს.

შპს „მერიდიანი-44“-ის საქმიანობის სფეროა ელექტრომოძრავი შემადგენლობის წყვილთვლების შეკეთება და ახლის ფორმირება.

შპს „მერიდიანი-44“-ის 100%-იანი წილის მლობელია საქართველოს მოქალაქე, რეზიდენტი პირი.

საწარმოში დასაქმებულია 23 პირი.

შპს „მერიდიანი-44“-ის საქმიანობა დამოკიდებულია სს „საქართველოს რკინიგზისა“ და თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე.

აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის, საჭირო მასალების შესაძენად, საწარმო ანხორციელებს იმპორტს და ასევე ადგილობრივ ბაზარზე შეძენას.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „მერიდიანი-44“-ის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საგადასახადო კანონმდებლობა. საწარმო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ";
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ";
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

3.1 სამუშაო ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას საწარმო აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2 მარაგები

საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.
მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.
საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი.

საწარმოს სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, სატრანსპორტო, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

მარაგები	მზა პროდუქცია	ნედლეული და მასალები	სულ
31.12.2021	10310	690490	700800
მიღებული 2022 წლის განმავლობაში	0	1587809	1587809
გახარჯული 2022 წლის განმავლობაში	0	1288310	1288310
31.12.2022	10310	989989	1000299

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი, შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.
მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.
კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი მასალები მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

3.3 ძირითადი საშუალებები

3.3.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.
ამორტიზაცია გათვალისწინებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე.
მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპულატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

დასახელება	**სასარგებლო ვადა (წელი)**
შენობა-ნაგებობა	20
მანქანა- დანადგარები	7
ოფისის აღჭურვილობა	4-7
სხვა ძირითადი საშუალებები	4-7

ძირითადი საშუალები	შენობები	მანქანა დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სხვა ინვენტარი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	440088.55	65544.08	10725.03	36944.59	**553302.25**
შემოსვლა 2021	0	16182.25	1421.69	1368.64	**18972.58**
გასვლა 2021	0	0	0	0	**0**
ცვეთა 2021	22004.45	15949.87	3133.32	5121.23	**46208.87**
2021 წლის 31 დეკემბერი	418084.1	65776.46	9013.4	33192	**526065.96**
შემოსვლა 2022	0	4501.69	1378.81	0	5880.5
გასვლა 2022	0	0	0	0	0
ცვეთა 2022	20904.22	13719.57	2078.43	5076.3	41778.52
2022 წლის 31 დეკემბერი	397179.88	56558.58	8313.78	28115.7	490167.94

ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

3.3.2. **აღიარების შეწყვეტა**

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:
(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.
ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.
ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად
წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

3.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად.

არამატერიალური აქტივი	
2021 წლის 31 დეკემბერი	**5729**
შემოსვლა	0
გასვლა	0
ცვეთა	3846
2022 წლის 31 დეკემბერი	**1883**

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოება ბასს 39-ის მიხედვით.

3.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც საწარმო გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც საწარმომ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

3.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური

ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. საწარმო თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.
საწარმოს ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.
მიმდინარე წლის ბოლოსთვის საწარმოს ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	0	5189
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	840
საგადასახადო ვალდებულებები	0	57370
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსები)	0	0
სულ ვალდებულებები	**0**	**63399**

აღიარების შეწყვეტა

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.6 საწესდებო კაპიტალი

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (სააქციო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.
მიმდინარე წლისათვის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში არ მომხდარა.

3.7 დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.8 გადასახადები

3.8.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური" მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება საწარმოს წარმოეშობა მაშინ, როცა მოხდება მოგების განაწილება. იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3.8.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:
თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.
საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

3.9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

ექვ. ლარებში	31.12.2022		31.12.2021
ფული სალაროში	0		0
ფული ბანკში	719155		1906641,76

მ. შ			
GEL	614578		781235,31
USD	87863		1102567,67
EURO	0		0
CHF	16714		19250,78
GEL დეპოზიტ.	0		1798.5
USD დეპოზიტ.	0		1789.67

3.10 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება საწარმოში, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

ხარჯები

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ უნდა აღიაროს ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის

შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3.11 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

საწარმო აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;

ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას საწარმო გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

4. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

საწარმოს გააჩნია დებიტორული მოთხოვნები, რომელიც მიღებულ იქნება მომდევნო ფინანსური ანგარიშგების პერიოდში.

	31.12.2022	**31.12.2021**
სავაჭრო მოთხოვნები	1417618	**584036**

5. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეთავსებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც, როგორიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

კომპანია შეფასებებს აკეთებს მომავალი ფაქტორების გათვალისიწნებით.

6. უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანსაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში, აქედან გამომდინარე აქვს საკურსო სხვაობის რისკი.

ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაოებები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკული დოლარში და ევროში. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით.

დირექტორი		ბიძინა შეროზია
მთავარი ბუღალტერი		იამზე კალანდაძე